საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/125 " 15 " ივლისი 2021 წ.

განკარგულება

გურჯაანის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის ი. აბრამიძის თელავის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს 2021 წლის 2 ივლისს განცხადებით მომართა თელავის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე მარინე ცერცვაძემ და ითხოვა თელავის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის მივლინება №1/53-21 სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რომელზეც მიმდინარეობს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, თუ საქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იხილავს, სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საქმეზე სავალდებულო წესით ინიშნება სათადარიგო მოსამართლე. კანონის აღნიშნული მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია ზემოთ მითითებულ სისხლის სამართლის საქმეზე, ვინაიდან ამოწურულია მოსამართლეთა რაოდენობა, ვინც განახორციელებდა სათადარიგო მოსამართლის უფლებამოსილებას.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით, თელავის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების წინადადებით მიემართათ გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებს. 2021 წლის 2 ივლისს მიღებულ იქნა მოსამართლე იოსებ აბრამიძის თანხმობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. გურჯაანის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში იოსებ აბრამიძე მივლინებულ იქნეს თელავის რაიონულ სასამართლოში №1/53-21 სისხლის სამართლის საქმეზე ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომებზე სათადარიგო მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად, 2021 წლის 14 ივლისიდან.

2. იოსებ აბრამიძემ იმავდროულად მოსამართლის უფლებამოსილება განახორციელოს გურჯაანის რაიონულ სასამართლოში.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი